ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3018241

ნომერი: AR1466021

თარიღი : 22.12.2016

გაცემის თარიღი : 29.12.2016

გაცნობის თარიღი : 29.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მტკვრის მარჯვენა სანაპირო , ბაქტერიოფაგის მხრიდან / ქალაქი თბილისი , ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის ხიდთან, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გზის მიმდებარედ ბაქტერიოფაგის მხრიდან;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ვაშაკიძე პ/ნ 01024003923
- თბილისი ატენის ქ. N 18

ორგანიზაცია:
- დავით ვაშაკიძე არქიტექტს კოდი: 405046258

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.08.2013 წ. №805220 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 22.12.2016 წ. №AR1466021 განცხადებით მომართა დავით ვაშაკიძემ და მოითხოვა 12.08.2013 წ. №805220 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა

შესაბამისად  შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 12.08.2013 წ. №805220 გადაწყვეტილებით №01.10.13.016.018 (800 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (საოფისე-კომერციული) აშენების მიზნით დამტკიცდა  მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. არქიტექტურის სამსახურის 25.07.2016 წ. №2736670 ბრძანებით შევიდა ცვლილება აღნიშნულ პირობებში და პირობები დადგინდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1) –ის არეალში.
განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ  მოხდა ფუნქციური ზონის ცვლილება და აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება მხოლოდ საზოგადოებრივი–საქმიანი ზონა 3 (სსზ-3)-ს პირობები და პარამეტრები.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად,  მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.08.2013 წ. №805220 გადაწყვეტილებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: ფუნქციური ზონად დაფიქსირდეს - საზოგადოებრივი–საქმიანი ზონა 3 (სსზ-3);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.08.2013 წ. №805220 გადაწყვეტილებით დამკიცებულ  მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ:საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს 01.10.13.016.137 ფართობი 1440 კვ.მ
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.08.2013 წ. №805220 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და არქიტექტურის სამსახურის 25.07.2016 წ. №2736670 ბრძანებასთან ერთად;

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ  შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.